

## ურთიერთობის არავერბალური კომპონენტების ექსპერიმენტული კვლევა

ნათელა იმედაძე

სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი

### ანოტაცია

ნაშრომში ასახულია ქართველ სტუდენტებთან ზოგიერთი რიტუალური სიტუაციის არავერბალური კომპონენტების (ჟესტი, მიმიკა, პოზა, პროქსემიკა) ექსპერიმენტული კვლევის შედეგები.

ვიდეოზე ჩაწერილ იქნა სტუდენტ-ჟურნალისტების მიერ გათამაშებული 4 სიტუაცია: მისალმების, დამშვიდობების, მადლობის გადახდის და ბოდიშის მოხდის. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე ეს ჩანაწერები საინდენტიფიკაციოდ ეძლეოდა ამავე ფაკულტეტის სხვა სტუდენტებს გამორთული ხმით. შედეგები შედარებულ იქნა ინგლისელების მიერ შესრულებულ ანალოგიურ სიტუაციებთან. შედეგებმა აჩვენა:

1. მანძილი ქართველ წყვილებს შორის ნაკლებია, ვიდრე ინგლისელებთან,
2. ადექვატურად იდენტიფიცირებულ იქნა მხოლოდ მისალმების და დამშვიდობების სიტუაციები,

მადლობის გადახდის და ბოდიშის მოხდის სიტუაციები იდენტიფიცირებულ იქნა ცდის პირთა მხოლოდ 5-7% მიერ. არავერბალური კომპონენტების სპეციფიკა გადარიბებულა. პერველი სიტუაცია განისაზღვრება როგორც ზოგადად დადებითი ემოციის გამოხატვა, მეორე – როგორც უარყოფითი ემოციის. ჟესტების სიმბოლური ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი. ისინი ძირითადად ასრულებენ ილუსტრაციულ ფუნქციას. ჩანს ტენდენცია დასავლური, ნაკლებად კონტექსტური კომუნიკაციისადმი.

**საკვანძო სიტყვები:** ურთიერთობა, კომუნიკაცია, არავერბალური, ექსპერიმენტული კვლევა.

კომუნიკაცია ხორციელდება არა მხოლოდ ვერბალური საშუალებებით, არამედ მასში დიდწილად მონაწილეობს არავერბალური საშუალებებიც: მიმიკა, ჟესტიუკულაცია, პოზა, ექტრალინგვისტური საშუალებები (ინტონაცია, პაუზა, ხმის სიმაღლე), პროქსემიკა ანუ კომუნიკაციის ორგანიზაცია სივრცეში. არავერბალური საშუალებები სამეტყველო აქტის რეალობაა. უფრო მეტიც, რედ ბერდუისტლის ცნობილი გამოთვლის მიხედვით, ინფორმაციის 65%-მდე ურთიერთობის არავერბალურ საშუალებებზე მოდის. თავიდან მინდა შევნიშნო, რომ აღნიშნული რიცხვი მეტად პირობითია, რადგანაც არავერბალური საშუალებების სიმდიდრე და თავისებურება ცვალებადობს კულტურათა შორის.

არსებობს აზრი, რომ არავერბალურ საშუალებათა ანალიზი და აღწერა შეიძლება მოხდეს "ეთნოსი-ენა-კულიტურა"-ს ტრიალის ჩარჩოებში. ეს კი "შესაძლებლობას იძლევა იმსჯელო არა მხოლოდ ზედაპირულ, არამედ სიღრმისეულ სტრუქტურებზე, რომლებიც მართავენ ამა თუ იმ ლინგვაკულტურული ერთობის წარმომადგენელთა ქცევას და აყალიბებენ ამ წარმომადგენლებისათვის "სამყაროს სურათს" (სოროკინი).

ურთიერთობის არავერბალური კომპონენტების ადექვატური ანალიზი გვამღვეს შესაძლებლობას დავსახოთ ენის მატარებლის საკომუნიკაციო უნარის ფორმირების გზები, გამოვავლინოთ სამეტყველო და არასამეტყველო ქცევის ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა, რაც აუცილებელია, კერძოდ, კულტურათაშორისი კომუნიკაციის სრულყოფისათვის. ტერმინოლოგიის დაზუსტებისათვის აღვნიშნავ, რომ პირადად მე უპირატესობას ვანიჭებ ტერმინს “არავერბალური საშუალებები”, არავერბალური ქცევის (nonverbal behavior) ტერმინის საპირისპიროდ, რადგანაც არავერბალურ საშუალებებს განვიხილავ მთლიანი საკომუნიკაციო აქტის – ქცევის გარკვეული ფორმის კომპონენტად. გამოიყენება აგრეთვე ტერმინი “სხეულის ენა” (“body language”), რომელიც, ჩემი აზრით, უფრო ვიწროა, რადგანაც არ შეიცავს ე.წ. ექტრალინგვისტურ საშუალებებს (ინტონაციას, პაუზას და სხვ), რაც აუცილებლად თანახმადს მეტყველებას, მაგრამ არ მიეკუთვნება მეტყველების მახასიათებლებს.

კომუნიკაციის არავერბალური საშუალებები შეიძლება გააზრებულ იქნას თანამედროვე კონცეფტუალურ კონტექსტში, კერძოდ დისკურსის ცნებასთან კავშირში, რომელიც გულისხმობს გაბმულ ტექსტს, ადებულს ექტრალინგვისტურ ფაქტორთან ერთად. სწორედ “დისკურსის ჩარჩოებში არავერბალურ საშუალებებს ენიჭება შემდეგი ფუნქციები: ავტოდირიჟირების, რეფერენტული, სემანტიკური, ემოციურ-შემფასებლური” (ომიაძე, 1998). პოლ *გემანის* მიხედვით, ჟესტები 5 ფუნქციას ასრულებენ: სიმბოლოს, ილუსტრაციის, ადაპტაციის, რეგულატორის და ემოციის ინდიკაციის. ვფიქრობთ, რომ ამ ფუნქციებს ახასიათებს მეტ-ნაკლები ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა და მათი განხილვა, პირველ რიგში, ურთიერთობის არავერბალურ საშუალებათა დიფერენციაციას გულისხმობს. ჩვენი მსჯელობის და კვლევის საგანს ამჟამად პროქსემიკური და კინესიკური (მიმიკა, ჟესტი, პოზა) კომპონენტები წარმოადგენს.

კინესიკური ელემენტები მნიშვნელოვნად არის განპირობებული თანდაყოლილი უნივერსალური სიგნალებით – ძირითადი ემოციების გამოხატვა უნივერსალურია კაცობრიობისათვის. მაგრამ სხვა ასპექტები სპეციფიკურია კულტურისათვის და კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში ხშირად ხდება გაუგებრობის მიზეზი. ასე, მაგალითად, აშშ-ს კონსულტანტი კროსკულტურულ ურთიერთობებში – *როუ*, აღწერს ფაქტს, სადაც ამერიკაში ახლად ჩამოსულ აზიელ ინჟინერს მისმა - მდივანმა ქალმა უსურვა წარმატება სპეციფიკური ამერიკული ჟესტით – გადაჯვარედინებული თითებით, რამაც იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგანაც ინჟინრის სამშობლოში ეს ჟესტი სექსუალურ გამოწვევას ნიშნავს.

გრამატიკული წესების გაუცნობიერებელი გამოყენების ანალოგიურად, აღნიშნავენ *უეიდი* და *ტავრისი* (1996) ადამიანი მისდევს არავერბალური ქცევის დაუწერელ წესებს მათი გაცნობიერების გარეშე და ეუფლება მათ მშობლიური ენის დაუფლებასთან ერთად. იდენტიფიკაცია საკუთარი სოციუმის წარმომადგენლებთან ამის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. უცხოური ენის დაუფლება თავისი სრულყოფილი ფორმით გულისხმობს ამ კულტურისათვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების სისტემის დაუფლებას, რასაც საკმაოდ იშვიათად აღწევენ. მაგრამ არსებობს საპირისპირო ფაქტები. უედს და ტავრისს მოყვანილი აქვთ საინტერესო ფაქტი: ნიუ-იუორკის მერი 1933-45 წლებში *ლა-გუარდია* სრულყოფილად ფლობდა ინგლისურს, იტალიურს და იდიშს. მკვლევარები, რომლებიც სწავლობდნენ მისი გამოსვლების ჩანაწერებს, გამორთული ხმის პირობებშიც თავისუფლად საზღვრავდნენ თუ რა ენაზე მეტყველებდა ლა-გუარდია, მხოლოდ არავერბალურ სიგნალებზე დაყრდნობით. კერძოდ, იტალიური და ებრაული კულტურისათვის

სპეციფიკურია მეტყველების თანმხლებად ხელების ცირკულარული მოძრაობა. ამ მოძრაობების რადიუსის გაზომვით შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ თუ რა ენაზე მეტყველებს ადამიანი: რაც უფრო მეტია რადიუსი, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ ეს იქნება იტალიური ენა.

ბოლო წლებში ურთიერთობის არავერბალური საშუალებების სფერო საკმაოდ ინტენსიური კვლევის საგნად იქცა (*ეკმანი, ბერდუისტილი, მალი, ჰოლი, ქიტინგი* და სხვ.) ნაკვლევია არავერბალური რეგულაციის გენდერული ასპექტიც. ასე, მაგალითად *ზეველაკის და ბენტეს* ექსპერიმენტში ქალ-ვაჟთა ინტერაქციის ვიდეოჩანაწერების საშუალებით ნაჩვენებია, რომ ქალები უფრო მეტად იყენებენ ურთიერთობის ვიზუალურ საშუალებებს, ვაჟები კი – კინესიკურს (1995). ნაცადია შესტთა სპეციალური ანბანის შექმნა. *დესმონდ მორისის* მიერ შექმნილია ე.წ. “შუა ევროპული შესტების რუკა”, რომელიც წარმოადგენს შესტთა 20 ფოტოსურათს. ჩვენი კვლევის პირველ სერიაში სწორედ ეს “ანბანი” გამოვიყენეთ შესტთა კულტურათაშორისი განსხვავების დასადასტურებლად.

პროქსემიკური განსხვავების სადემონსტრაციოდ ჩვეულებრივად იყენებენ ე.წ. დისტანტური და კონტაქტური ერების არსებობის ფაქტს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ჩრდილოეთი ევროპა, ა.შ.შ., კონტაქტურს – სამხრეთი ევროპა, მცირე აზია, ლათინური ამერიკა. ზუსტადაა გაზომილი ამერიკელ შავკანიანთა კომუნიკაციის დისტანცია: პირველ შემთხვევაში ის საშუალოდ უდრის 22 დიუმს, მეორეში – 27 დიუმს.

ჩრდილო-ამერიკელების და ლათინო-ამერიკელების ურთიერთობაში პირველები ცდილობენ დაიცვან თავისი პირადი სივრცე (70 სმ-მდე), ხოლო მეორენი ამის საპირისპიროდ ცდილობენ დაამყარონ ურთიერთობა უფრო მცირე დისტანციაზე. პირველები სულ ულკან-ულკან იხევენ, მეორენი კი – უახლოვდებიან. ამ ვითარებას ხშირად ლათინო-ამერიკულ ვალსს უწოდებენ.

როდესაც არავერბალური წესი ირღვევა, წერს ჰოლი (1990), ადამიანი დისკომფორტს განიცდის, მაგრამ არ იცის, რატომ. ასე მაგალითად, არაბებს უყვართ ახლოს დგომა, ხელის მოკიდება მოსაუბრისათვის, რაც ჩრდილო-ევროპიელს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. კონტაქტურ და დისტანტურ

ერებად დაყოფის გარდა, არავერბალურ საშუალებათა მთელი სისტემა შეიძლება ორ სახედ იყოს კატეგორიზებული (*ჰოლი*): კულტურები, სადაც კონტექსტი მეტ-ნაკლებ როლს ასრულებს. მეტად კონტექსტურ კულტურას ახასიათებს არავერბალური სიგნალებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება, ნაკლებად კონტექსტური კულტურისათვის გადამწყვეტია ვერბალური ნიშნები. ამ კატეგორიზაციის ავტორი ლაპარაკობს ყურადღების მიქცევაზე, რაც გარკვეულ განმარტებას მოითხოვს. როგორც ჩანს, ლაპარაკია უნებლიე ყურადღებაზე, რაც განისაზღვრება არაცნობიერად მოქმედი წესების მიხედვით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განწყობისეულად.

მეტად კონტექსტურ კულტურებს მიეკუთვნება იაპონური, არაბული კულტურა, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციულ შესტს და პოზას.

ნაკლებად კონტექსტური კულტურა (გერმანული, ჩრდილო-ამერიკული) მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვებს, ნაკლებად გათვალისწინებულია ტრადიცია. ამ ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა კონტაქტი ხშირად ორივეს უკმაყოფილებას იწვევს. ამერიკელს სიძნელეები აქვს იაპონელთან ურთიერთობაში, რადგანაც არ ესმის იაპონელის გამოუთქმელი განზრახვა, იაპონელს, პირიქით, მიაჩნია, რომ გონიერი ადამიანი გაიგებს საუბრის აზრს მისი კონტექსტიდან.

ძნელია გადავაფასოთ აღნიშნული განსხვავების მნიშვნელობა. ამ განსხვავებაზე აგებულ გაუგებრობას შეუძლია ომამდეც კი მიიყვანოს მხარეები. ასე, მაგალითად,

ერაყის ჯარების მიერ ქუვეიტის ოკუპაციის შემდეგ აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიქერი და ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ტარიკ აზიზი შეხვდნენ ერთმანეთს. ბეიქერმა ერთმნიშვნელოვნად წაუყენა ულტიმატუმი: "თუ არ გახვალთ ქუვეიტიდან, ვიწყებთ შეტევას"-ო მაგრამ ეს ითქვა დიპლომატიური ტონით, თანმხლები არავერბალური საშუალებების - მუქარის პოზისა და ჟესტების გარეშე. იმავე დღეს ტარიკ აზიზმა შეატყობინა სადამ ჰუსეინს, რომ ამერიკელები მხოლოდ სიტყვიერად იმუქრებიან ომის დაწყებას, ხოლო მოქმედებას არ დაიწყებენ. ამერიკელებმა კი პირობის შესრულების შესატყვისად მეორე დღესვე დაიწყეს საომარი მოქმედება. ამგვარად, კონტექსტზე დამოკიდებული კულტურის წარმომადგენელმა

ვერ გაიგო მხოლოდ ვერბალურ კონტაქტზე ორიენტირებული კულტურის წარმომადგენლის ინფორმაცია, რის შედეგადაც დაილუპა მრავალი ადამიანი.

ჩვენს წინაშე ბუნებრივად დადგა საკითხი, რომელ კულტურას მიეკუთვნება თანამედროვე ქართველი, რა არის წამყვანი მის ურთიერთობაში - ვერბალურად თუ არავერბალურად გადაცემული ინფორმაცია? რამდენად განსხვავდება ქართველის მიერ გამოყენებული ჟესტიკულაცია, პოზა, პროქსემიკა სხვა ხალხის ანალოგიური მონაცემებისაგან? ნათელია, რომ მეორე საკითხზე საპასუხოდ ჩვენ შეზღუდულები ვიყავით იმ მონაცემებით, რაც ჩვენ ხელთ გვქონდა სხვა ერთა წარმომადგენლების არავერბალურ საშუალებათა გამოყენების შესახებ.

საქართველოში არავერბალურ საშუალებათა შესახებ ორი დისერტაცია არსებობს: თამარ ომიადის, სადაც შესწავლილია არავერბალური საშუალებების ლინგვისტური ასპექტი, უფრო ზუსტად, მათი ასახვა ქართულ ენაში, მეორე - ნატო ლაშხის, ეხება არავერბალური საშუალებების მიმართებას სოციალური განწყობების პარამეტრებთან. არც ერთი არ ისახავს მიზნად კროსეროვნულ შედარებას. მაგრამ მეტად საინტერესოა თამარ ომიადის მიერ გაანალიზებული პროქსემიკური - სივრცეში განლაგების - ზონების ქართული აღნიშვნები. ასე, მაგალითად, ინტიმური ზონისათვის ქართულში არსებობს გამოთქმები: "გულში უზის", "სულში იძვრენენ", "ზედ წამწამზე უზის". დისტანციური ზონისადმი დამოკიდებულება (ოფიციალური ზონა) ხშირად უარყოფით იერს ატარებს: "სათოფეზე არ იკარებს", "თვალის დასანახავად არ უნდა" და სხვ. კინესიკური კომპონენტის სხვა სახეები: კოცნა, გადახვევა, ხშირად რიტუალურ ხასიათს ატარებს, ახლავს მისალმება-დამშვიდობებას და საყვარულს და პატივისცემას გამოხატავს. ეს უმველესი ტრადიციული ჟესტებია, თუმცა, უნდა ითქვას, ამჟამად მეტისმეტად ჭარბად გამოიყენება ჩვენში.

### **კვლევის მეთოდი:**

კვლევის პირველ ეტაპზე გამოვიყენე *დეისმონდ მორისის* "შუა ევროპული ჟესტების ანბანი", რომელიც შედეგება 20 ფოტოსურათისაგან. სურათებს ვაწვდიდით ცდის პირებს მათზე გამოსახული ჟესტების დასასახელებლად ინდივიდუალური წესით. თავიდან უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჟესტების სემანტიკა და ექსპრესიული მნიშვნელობა არ არის გამოდიფერენცირებული.

### **ცდის პირები:**

ცდები ჩატარდა სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებზე; 30 ქართველზე, 30 რუსზე და 30 ესპანელზე. ესპანელ სტუდენტებზე ცდები ჩატარა ბარსელონის უნივერსიტეტში დედით ესპანელმა ჩვენი პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტმა. ქართველი და რუსი სტუდენტების შემთხვევაში მაქსიმალურად იყო დაცული კულტური ჰომოგენურობა: ქართველები იყვნენ რაიონებიდან ახალჩამოსულები, რუსები -

ძირითადად სამხედროების შვილები, რომლებსაც ნაკლებად ჰქონდა მიღებული თბილისური ინტერნაციონალური კულტურული ნორმები. ცდები ჩატარდა პირველად 1988 წელს. გამეორებით 1996 წელს მხოლოდ 30 ქართველ სტუდენტზე.

### **შედეგების ანალიზი:**

შედეგების დამუშავების დროს იდენტურად ინტერპრეტირებულ ჟესტებად პირობითად ვთვლიდი ნახევარზე მეტ დამთხვევას თითოეულ ეროვნულ ჯგუფში.. ასეთი ქართულ-ესპანური შერჩევების შედარებისას აღმოჩნდა მხოლოდ სამი: მუქარის ჟესტი, მოწონების ჟესტი (აწეული ცერა თითით) და გაშლილი ხელები: "რას იზამ!". რუსებთან ამ ჟესტებს დაემატა კიდევ ერთი – გაჯავრება. განსაკუთრებით დიდი განსვლა მივიღეთ ეჭვის, საიდუმლოს შენახვის, ყურადღების გამოხატვისა და კოცნის გაგზავნის ჟესტებში.

ისმის კითხვა: ჩავთვალოთ თუ არა, რომ იდენტურად აღქმულ ჟესტებს გააჩნია უნივერსალური, თანდაყოლილი, ემოციების გამოხატვის მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენები – კულტურისათვის სპეციფიკური, სოციალიზაციის პროცესში ნასწავლი და სემანტიკური ფუნქციის მქონე ჟესტებია? ანალოგიისათვის შეიძლება მივმართოთ *ვუდგორტის* და *შლოსბერგის* მონაცემებს, რომელთა თანახმად მიმიკაზე მოქმედებს 3 ფაქტორი: თანდაყოლილი, სოციალიზაციის და ინდივიდუალური (რეიკოვსკი). კულტურით განპირობებული სიმბოლიური მნიშვნელობა ჟესტს სოციალიზაციის პროცესში ენიჭება. აქ იმენს იგი თავის სემანტიკას. სწორედ ამის გამო ასეთი ჟესტები გასაგებია მოცემული კულტურის ყველა წარმომადგენლისათვის. ხოლო ადაპტაციისა და რეგულატორის ფუნქციები უფრო მეტად ატარებენ ინდივიდუალურ ნიშნებს. 1988 წელს მიღებული შედეგი ადასტურებს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობს დასავლეთ ევროპისა და ქართულ ჟესტთა სისტემებს შორის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წელს მიღებულ მონაცემებში მსგავსების დადასტურება გაიზარდა 5-მდე, - სავარაუდოდ დასავლეთთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციის გამო.

მიღებული შედეგები საკმაოდ თვალსაჩინოა, მაგრამ ამ ცდას ახასიათებს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ნაკლი: ჟესტი დინამიურია, მისი ასახვა ფოტოსურათზე არ იძლევა სრულ წარმოდგენას მისი გამოყენებისა და პერცეპციის შესახებ. სწორედ ამიტომ ცდის *მეორე ეტაპზე* ჩვენ მივმართეთ ვიდეოჩანაწერების ტექნიკას.

ამჯერად ცდის პირებს ეძლეოდა 4 რიტუალური სიტუაცია გასათამაშებლად: მისალმების, დამშვიდობების, ბოდიშის მოხდისა და მადლობის გადახდის. წინასწარი ინსტრუქცია შეიცავდა ბოდიშის მოხდისა და მადლობის გადახდის ვრცელ მასტიმულირებელ ინფორმაციას. მისალმება და დამშვიდობება თავისთავად იყო ჩართული, რადგანაც სცენების გაათამაშება ხდებოდა ნაცნობებს შორის.

ცდის პირებად შევარჩიეთ ერთ-ერთი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის და უცხო ენების ფაკულტეტის მე-3 კურსელი სტუდენტები. შემადგინეთ 3 წყვილი: ჰომოგენური: ქალი-ქალი, ვაჟი-ვაჟი და ჰეტეროგენური: ქალი-ვაჟი. სულ ჩაწერილ იქნა 24 ვარიანტი (ბოდიშის მოხდისა და მადლობის გადახდის შემთხვევაში წყვილების წევრები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს). აღნიშნული ვიდეოჩანაწერები ვაჩვენეთ ამავე სპეციალობის სხვა სტუდენტებს ვერბალური კომპონენტების გამორთვით. მათ ევალუბოდათ გამოცნობით გაათამაშებული სიტუაციების აზრი.

### **შედეგების ანალიზი**

რადგანაც ჩვენ ხელთ გვაქვს ინგლისელების მიერ ანალოგიური სიტუაციების ვერბალური და არავერბალური კომპონენტების აღწერა, შევეცდები შედარებითი ანალიზის ჩატარებას.

ინგლისელი ქართველი,  
**მისალმება**

დისტანცია 1-3 მეტრი  
პოზა – პირისპირ კოცნა, ზოგჯერ გადახვევა,  
შემდეგ დაშორება ერთ მეტრამდე  
ჟესტი – მარჯვენა მოხრილი  
ხელი, აწეული თავის დონემდე  
მიმიკა – ღიმილი, წარბების წამიერი  
აწევა.

---

### **დამშვიდობება**

დისტანცია 1-3 მეტრი კოცნა  
ჟესტი ემთხვევა მისალმების ზოგჯერ ხელის აწევა თავის  
ჟესტს. დონეზე  
ღიმილი თავის ოდნავი დახრით

---

### **ბოდიშის მოხდა**

მანძილი მეტრამდე მიმიკა- შეწუხებული  
(ბოდიშის მოხდა შორეულ სახის გამომეტყველება  
მანძილზე მიუღებელია) ნერვიულობის ჟესტები:  
ღიმილი, ხელების გაშლა, ხელის სახეზე ხელის მოკიდება,  
გულზე დადება. თმის გასწორება

---

### **მადლობის გადახდა**

მცირე მანძილი, ღიმილი ღიმილი, გადახვევა  
თავის დახრა, მარჯვენა  
ხელის აწევა ხელის გულით  
წინ

შეფასებაში მონაწილეობდა 10 სტუდენტი. რადგანაც ოთხივე სიტუაცია გათამაშდა 6-6- ჯერ ჰომოგენურ და ჰეტეროგენურ წყვილებში, ათი შემფასებლისაგან მივიღეთ სულ 240 პასუხი, რომელთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული სურათი:

1. ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს, რომ გოგნების მიმიკა უფრო მდიდარია, ვიდრე ვაჟების. ვაჟებს მეტად ახასიათებთ ჟესტები, განსაკუთრებით ნერვიულობის: სახეზე ხელის მოკიდება, თმების გასწორება ბოდიშის მოხდისას, ხელების შეკვრა, როდესაც

პარტნიორი არ ღებულობს ბოდიშს. აქ ნათლად ვლინდება ჟესტის ადაპტორის (ემოციური ინდიკატორის) ფუნქცია. რიტუალური ატრიბუტია კოცნა.

2. ქართველების მიერ რიტუალური სიტუაციების გათამაშების პროქსემიკური ასპექტით ანალიზი და შედარება ინგლისელების ქცევასთან აჩვენებს, რომ ოთხივე სიტუაციაში დისტანცია ქართველებთან ნაკლებია – დაახლოებით 1 მეტრი, თუმცა პირველი მისალმების შემდეგ ოდნავ სცილდებიან ერთმანეთს.

3. ადექვატურად (“მსახიობების” განზრახვის შესატყვისად) შეფასდა მხოლოდ მისალმებისა და დამშვიდობების სიტუაციები. ეს შედეგი მოსალოდნელი იყო, რაგანაც ვიდეოჩანაწერებში ნათლად ჩანდა როგორ უახლოვდებოდნენ ან სცილდებოდნენ ერთმანეთს წყვილები.

4. ბოდიშის მოხდის სიტუაცია მკასუხთა მხოლოდ 5%-ში იქნა აღქმული ადექვატურად. “არა ვარ დამნაშავე, ალბათ ვერ გავიგე”- ასეთ სიტყვებს მიაწერს ერთ-ერთი შემფასებელი სიტუაციის მონაწილეს. 20% ხედავს ამ სიტუაციაში რაღაც პრობლემის განხილვას, სადაც ერთ-ერთი მონაწილე სთხოვს რჩევას, დახმარებას. უმრავლეს შემთხვევაში უბრალოდ აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი მოსაუბრე ძალიან შეწუხებულია, აღელვებულია, ნერვიულობს, ან ატყობინებს პარტნიორს ცუდ ამბავს (მეგობარს მამა გარდაეცვალა, დიდი ხნით მივდივარო და ა.შ.) ადრესატი, შემფასებლის აზრით, რჩევას აძლევს, ამშვიდებს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში ადრესატის რეაქცია აღქმულია როგორც ბოდიშის მიღება: “კარგი რა, უკვე დამავიწყდა”.

5. მადლობის გადახდის სიტუაციის ინტერპრეტაციაში ანალოგიური ვითარებაა. მკასუხთა მხოლოდ 7% -ა ადექვატური. უმრავლესობა აფასებს ამ სიტუაციას როგორც მეგობართა თბილ შეხვედრას: “კარგ ხასიათზე არიან”, “მოენატრათ ერთმანეთი” და ა.შ. ზოგი დაპატიჟებად ან მოლოცვად აღიქვამს სიტუაციას.

6. სიტუაციების შეფასებისას ცდის პირები გაცნობიერებულად ეყრდნობიან მხოლოდ მიმიკას: “უკმაყოფილო სახე აქვს”, “მხიარულად გამოიყურება” და სხვ. ვფიქრობ, რომ ისინი გაუცნობიერებლად მაინც ითვალისწინებენ პოზას და ჟესტებს, როდესაც სიტუაციას აღწერენ როგორც პრობლემაზე მსჯელობას, დახმარების და რჩევის თხოვნას.

როგორც შედარებითი სქემიდან, ისე სიტუაციების ვიდეოჩანაწერების შეფასებებიდან შესაძლებელია რამდენიმე ზოგადი დასკვნის გამოტანა:

ბოდიშის მოხდის და მადლობის გადახდის რიტუალს თანამედროვე ქართველი ახალგაზრდებისათვის არ ახასიათებს *სპეციფიკური არავერბალური*.

**კომპონენტები.** პირველი უახლოვდება უარყოფითი ემოციის ზოგად გამოხატვას, მეორე – დადებითი ემოციის ზოგად გამოხატვას. თუ ინგლისელი ბოდიშის მოხდისას აღიარებს თავის დანაშაულს, როგორც ფაქტს, ქართველი იწყებს გასამართლებელი საბუთების ძიებას. სწორედ ამიტომ ეს სიტუაცია სხვების მიერ აღიქმება როგორც პრობლემის განხილვის, თხოვნის სიტუაცია. მადლობის სიტუაციაში ნაკლებად ჩანს მიმართვა. ადრესანტი ზოგადად კარგ გუნებაზეა, რაღაცით გახარებულია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ არავერბალური კომპონენტის სპეციფიკის დაკარგვა ასახავს თანამედროვე ვითარებას, რომელსაც რ.გაბრიადემ თავის ტელეგამოსვლაში უწოდა “ბოდიშის მოხდის და მადლობის გადახდის ჩვევის დავიწყება”.

მეორეს მხრივ, ჩვენი მონაცემები შეიძლება გავიგოთ, როგორც ნაკლებად კონტექსტური, დასავლური კულტურისადმი მიახლოების ტენდენცია, სადაც გადამწყვეტია ვერბალური რიტუალური ნიშანი. ამ თვალსაზრისით რიტუალური სიტუაციების არავერბალური კომპონენტები თანამედროვე ქართველთა

ურთიერთობაში გარდამავალ კულტურას ასახვენ “მეტად კონტექსტურ”- აღმოსავლურ “ნაკლებ კონტექსტურ” - დასავლურ კულტურათა შორის.

---

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ომიაძე თამარ, (1998) პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში, საკანდ.დისერტაციის ავტორეფერატი
2. Birdwhistell, Ray (1970) Kinesics and context: Essay on body motion communication, Philadelphia, Univ Press
3. Ekman Paul,(1987) Universals and cultural differences in the judgement of facial expressions and emotions, Journ. of Pers. and Soc.Psych. 53 712-717
4. Hall, Edw.(1990) Understanding cultural differences. Yarmouth, M.E.Intercultural Press
5. Morris D.Collet P. (1979), Gestures, New York: Stein & Day
6. Suwelack D. ,Bente G. (1995) Zur Kommunikationskultur der Geschlechter – Nonverbale Korrelate der Beziehungsregulation in gegenschlechtlichen Dyaden, Z.f. Individualpsychologie 20, 133-146
7. Wade c., Tavris C. (1996), Psychology, Harper Collins College Publishers.

---

სტატია მიღებულია: 2004-06-04